სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *დავით თეთრაულის* შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	24	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	24	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	7	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	93	100

გიორგი გზობავა

თარიღი : 16.09.2024

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„16“ სექტემბერი, 2024 წელი **თბილისი**

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ, მივიღე რა მონაწილეობა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით დაწყებულ, საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეობის კანდიდატთა შერჩევის პროცედურაში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მოვახდინე კონკურსში მონაწილე კანდიდატის - **დავით თეთრაულის**

შ ე ფ ა ს ე ბ ა

1. შეფასების პროცედურის შესახებ:

- საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 22 ივლისის №1/74 განკარგულებით, ჩატარდა საქართველოს სააპელაციო სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოში მოსამართლეთა 18 ვაკანტურ თანამდებობაზე განწესების მსურველ კანდიდატთა შერჩევის პროცედურა.

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2024 წლის 15 აგვისტოს №1/81 განკარგულების შესაბამისად, მოსამართლეობის კანდიდატების შერჩევის პროცედურაში მონაწილეობის მიღების მიზნით, დარეგისტრირდა **დავით თეთრაული.**

- იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისმა სამსახურმა, ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^2 მუხლით დადგენილი წესით, მოიპოვა და წარმოუდგინა საბჭოს ინფორმაცია შესაბამისი კანდიდატის შესახებ, რომელსაც გავეცანი დეტალურად.

- ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2024 წლის 4 სექტემბერს, ჩემი მონაწილეობით, ჩატარდა კანდიდატის - **დავით თეთრაულის** საჯარო მოსმენა.

- საჯარო მოსმენის დასრულების შემდეგ, ,,ორგანული კანონის“ 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, ,,კანდიდატი“, როგორც სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატი, შევაფასე - ,,ორგანული კანონის“ 35^1 მუხლის მე-15 მე-16 პუნქტების შესაბამისად.

1. კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით

კანდიდატი **დავით თეთრაული** არის პატიოსანი და კეთილსინდისიერი მოქალაქე. აქვს მოვალეობების და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება, კორექტულობა და სიზუსტე სამსახურებრივი ვალდებულებების შესრულებისას. ასევე, მას სწორად აქვს გაანალიზებული მისთვის დაკისრებული პასუხისმგებლობა და ფინანსურ ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. ამასთან, კანდიდატის პირად თვისებებს და პროფესიულ საქმიანობას - გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები აფასებენ დადებითად.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2021 წლის 16 აგვისტოდან 2024 წლის 16 აგვისტოს ჩათვლით: **დავით თეთრაული** საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ერთიან საინფორმაციო ბანკში არ ირიცხება.

შესწავლილი დოკუმენტაციის შესაბამისად, არ იკვეთება რაიმე სახის შეუსაბამობა ან წინააღმდეგობა კანდიდატის ქონებრივ მდგომარეობას, მის შემოსავლებს და ვალდებულებებს შორის, რამაც შეიძლება გამოიწვიოს წინააღმდეგობა მოსამართლეობის კანდიდატის ინტერესებსა და მართლმსაჯულების ინტერესებს შორის.

<u>დასკვნა:</u> ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან კანდიდატი აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ" ორგანული კანონით განსაზღვრულ ყველა კრიტერიუმს, მიმაჩნია, რომ წარმოდგენილი კანდიდატი - **დავით თეთრაული <u>სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.</u>**

2. კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით

2.1. სამართლის ნორმების ცოდნა

დავით თეთრაული არის იუსტიციის უმაღლესი სკოლის XVII ჯგუფის მსმენელი:

- მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდაში მიღებული ქულებია - 75/15.
- რიგითი ნომერი ჯგუფის საკვალიფიკაციო სიაში - 14.

დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, *ადმინისტრაციულ სამართალში* **დავით თეთრაულმა** გამოავლინა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების მაღალი დონე, აქვს სამართლებრივი ანალიზის კარგი უნარი. გადაწყვეტილებებში არის სწრაფი და დამაჯერებელი. შესწავლილი აქვს უზენაესი სასამართლოს პრაქტიკა. რეკომენდირებულია იმუშაოს ადმინისტრაციული სამართლის სპეციფიკური საკითხების უფრო სიღრმისეულად შესწავლაზე, რაც მას გამოადგება პრაქტიკულ საქმიანობაში. *სამოქალაქო სამართალში* პრაქტიკული დავალებების შესრულებისას მისი დასაბუთებები იყო ლოგიკური და გასაგები. კანდიდატი ეფექტურად ანაწილებს დროს, მას შეუძლია დავალებების დიდი რაოდენობის შემთხვევაში, სწორად განსაზღვროს პრიორიტეტები და თანმიმდევრულად შეასრულოს დავალებები. *სისხლის სამართალში* მუშაობისას კანდიდატმა გამოავლინა ლოგიკური

აზროვნებისა და საკუთარი პოზიციის დასაბუთების კარგი უნარი. რეკომენდირებულია მან იმუშაოს სემინარული მუშაობისას დაშვებული მცირე შეცდომების გამოსწორებაზე, სისხლის სამართალში თეორიული ცოდნის კიდევ უფრო გაღრმავებასა და წერილობითი უნარების უფრო მეტად განვითარებაზე.

დავით თეთრაულთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი იცნობს სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართალის ნორმებს, საპროცესო კანონმდებლობას, უზენაესი სასამართლოს პრაქტიკას და ეცნობა კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. კანდიდატი სწორად იყენებს და აანალიზებს სამართლებრივ ნორმებს.

<u>დასკვნა:</u> კომპეტენტურობის კრიტერიუმით (სამართლის ნორმების ცოდნა) შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დავით თეთრაული** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25)

<u>2.2. სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია</u>

სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასებისას უნდა ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. გამოკითხული რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან და რეკომენდაციებიდან გამომდინარე, გამოირჩევა ანალიტიკური აზროვნების უნარით, ამასთან მას შესწევს უნარი მიიღოს კომპეტენტური და დასაბუთებული გადაწყვეტილება.

კანდიდატს შეუძლია მარტივად და გასაგებად განმარტოს კანონები და კომპეტენტურად ისაუბროს სამართლის თითქმის ყველა სფეროს ირგვლივ. საჯარო მოსმენაზე დასმულ შეკითხვებს უმეტესწილად პასუხობდა კვალიფიციურად, სწორად და გასაგებად.

<u>დასკვნა:</u> სამართლებრივი დასაბუთების და კომპეტენციის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დავით თეთრაული** უნდა შეფასდეს 24 ქულით (მაქსიმალური ქულა 25).

<u>2.3. წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი</u>

დავით თეთრაულს გააჩნია გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ამასთან, იგი ღიად და თავისუფლად გამოხატავს თავის პოზიციასა და შეხედულებებს. კანდიდატი საჯარო მოსმენაზე მსჯელობისას კვალიფიციურად ასაბუთებდა საკუთარ პოზიციას, ნათლად და გასაგებად გადმოსცემდა საკუთარ შეხედულებებს.

კანდიდატს არ წარმოუდგენია სამართლებრივი პუბლიკაცია ან ნაშრომი. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით, მის მიერ მომზადებული საპროცესო დოკუმენტები მხოლოდ უმნიშვნელო კორექტირებას საჭიროებდა, ისინი ყურადღებით, შინაარსობრივად სწორი და გასაგები ენით იყო შედგენილი, არ იყო გადატვირთული არამიზნობრივი მსჯელობით, კანდიდატს შესწევს უნარი საქმის ფაქტობრივი გარემოებები და სამართლებრივი მოტივები გასაგებად გადმოსცეს და შინაარსობრივად სწორად ჩამოაყალიბოს.

<u>დასკვნა:</u> წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დავით თეთრაული** უნდა შეფასდეს 19 ქულით (მაქსიმალური ქულა 20)

<u>2.4. პროფესიული თვისებები</u>

რეკომენდატორებისა და მასთან სამსახურეობრივი თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირების მიერ შევსებული კითხვარებიდან გამომდინარე, კანდიდატი არის პუნქტუალური, აქვს მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობა, გამოირჩევა შრომისმოყვარეობით, დამოუკიდებელი აზროვნების უნარით, სტრესულ სიტუაციაში მუშაობის უნარით, მიზანდასახულობით და მენეჯერული უნარ-ჩვევებით.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული თვისებების კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დავით თეთრაული** უნდა შეფასდეს 14 ქულით (მაქსიმალური ქულა 15)

<u>2.5. აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა</u>

დავით თეთრაულს გააჩნია სიახლეების მიმართ ღიაობა, აქვს საოფისე კულტურა, შეუძლია შეძენილი ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენება.

<u>კანდიდატი არ ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას</u>

მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა:

- კანდიდატმა 2014 წლის 27 სექტემბერს ჩააბარა მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით;
- გავლილი აქვს მოსამართლის თანაშემწის სამთვიანი სასწავლო კურსი;

<u>დასკვნა:</u> აკადემიური მიღწევების და პროფესიული წვრთნის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დავით თეთრაული** უნდა შეფასდეს 7 ქულით (მაქსიმალური ქულა 10)

<u>2.6. პროფესიული აქტივობა</u>

მოცემული კრიტერიუმებით **დავით თეთრაულის** შეფასებისას, აღსანიშნავია, რომ კანდიდატს აქვს უნარი განსახილველ თემასთან დაკავშირებით გამოხატოს თავისი შეხედულებები და არგუმენტირებული პოზიციები, გააჩნია ინიციატივის გამოჩენის უნარი. ახალი ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკაში გამოყენების მიზნით იგი მონაწილეობს სხვადასხვა ტრენინგსა და სასწავლო კურსში, კერძოდ:

- გადაწყვეტილების დასაბუთება და ნორმის განმარტება - GIZ – 2018 წელი;
- ბავშვის უფლებათა კოდექსი - Promoting Rule of Law in Georgia (PROLoG) - 2021 წელი;
- ბავშვზე მორგებული გარემო მართლმსაჯულების სისტემაში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა/unicef;
- ადამიანის უფლებები ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაში - იუსტიციის უმაღლესი სკოლა - 2021 წელი;
- გადახდისუუნარობის ახალი კანონმდებლობის აქტუალურ საკითხებზე სამუშაო შეხვედრა - იუსტიციის უმაღლესი სკოლა/USAID - 2023 წელი.

<u>დასკვნა:</u> პროფესიული აქტივობის კრიტერიუმით შეფასებისას მიმაჩნია, რომ **დავით თეთრაული** უნდა შეფასდეს 5 ქულით (მაქსიმალური ქულა 5)

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია, რომ კანდიდატი **დავით თეთრაული <u>სრულად აკმაყოფილებს "საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს</u>**, მისი შეფასების შედეგად, საერთო ქულათა რაოდენობამ შეადგინა **93** (ოთხმოცდა ცამეტი) ქულა.

გიორგი გზობავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი